



34-ე განყოფილება
სპეციალიზებული
საქმიანობა

განსახილველი საკითხები

42

- მოქმედების სფერო
- სოფლის მეურნეობა - სააღრიცხვო პოლიტიკა
- სოფლის მეურნეობა - აღიარება
- სოფლის მეურნეობა - შეფასება
- სოფლის მეურნეობა - განმარტებითი შენიშვნები
- სრულ ფასს-თან შედარება

განსახილველი საკითხები

34-ე განყოფილება მოიცავს მითითებებს შემდეგი სამი ტიპის სპეციალიზებულ საქმიანობაზე:

- სოფლის მეურნეობა;
- სასარგებლო წიაღისეულის (მინერალური რესურსების) მოპოვება;
და
- მომსახურება კონცესიური შეთანხმების საფუძველზე.

სოფლის მეურნეობა – სააღრიცხვო პოლიტიკა

საწარმომ ბიოლოგიური აქტივების თითოეული კატეგორიისთვის სააღრიცხვო პოლიტიკა უნდა განსაზღვროს შემდეგნაირად:

- (ა) საწარმომ უნდა გამოიყენოს რეალური ღირებულებით აღრიცხვის მოდელი იმ ბიოლოგიური აქტივებისათვის, რომელთა რეალური ღირებულება მარტივად დასადგენია, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე; და
- (ბ) ყველა სხვა ბიოლოგიური აქტივისთვის საწარმომ უნდა გამოიყენოს თვითღირებულების მოდელი.

სოფლის მეურნეობა – აღიარება

45

საწარმომ ბიოლოგიური აქტივი და სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა აღიაროს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- (ა) საწარმო აკონტროლებს ამ აქტივს წარსული მოვლენების შედეგად;
- (ბ) მოსალოდნელია ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა; და
- (გ) შესაძლებელია აქტივის რეალური ღირებულების ან თვითღირებულების საიმედოდ შეფასება, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე.

რეალური ღირებულების მოდელი

- საწარმომ ბიოლოგიური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას და ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის უნდა შეაფასოს გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. ცვლილებები უნდა უნდა აისახოს მოგებაში ან ზარალში.

თვითღირებულების მოდელი

- თუ შეუძლებელია რეალური ღირებულების ადვილად განსაზღვრა მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, საწარმომ ასეთი ბიოლოგიური აქტივები უნდა შეაფასოს თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

სოფლის მეურნეობა – შეფასება

- ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია უნდა შეფასდეს მისი მიღების მომენტისათვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით, გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით. ამგვარი შეფასებით მიღებული სიდიდე წარმოადგენს თვითღირებულებას მე-13 განყოფილების მიზნებისთვის.

მაგალითი – სოფლის მეურნეობა – შეფასება

48

მაგ 1. საწარმოს აქვს საქონლის ფერმა ხორცის საწარმოებლად, საქონლის სასაკლავოსთვის მიყიდვის გზით. 20X0 წლის 31 დეკემბრისთვის საქონლის გაყიდვის დანახარტებით შემცირებული რეალური ღირებულება იყო 10,000 ფე. 20X1 წლის განმავლობაში დაიბადა 8 ხბო და საწარმომ გაყიდა 10 დეკეული თითო 200 ფე-ად, გაყიდვის დანახარტებმა შეადგინა ერთეულზე 10 ფე. 20X1 წლის 31 დეკემბერს საქონლის გაყიდვის დანახარტებით შემცირებული რეალური ღირებულება იყო 14,000 ფე. საწარმო საქონელს აფასებს რეალური ღირებულების მოდელით.

როგორ უნდა ასახოს საწარმომ აღნიშნული ოპერაციები?

მაგალითი - სოფლის მეურნეობა - შეფასება

49

მაგ 1. (გაგრძელება)

დეკეულების გაყიდვა

დბ	ფულადი სახსრები	1,900	
კრ	ბიოლოგიური აქტივები (საქონელი)		1,900
	$10 * (200-10)=1,900$		

წლის ბოლოს საქონლის რეალური ღირებულების ზრდის აღიარება

დბ	ბიოლოგიური აქტივები (საქონელი)	5,900	
კრ	შემოსავალი - რეალური ღირებულების ზრდა		5,900
	14,000 ფე საბოლოო ნაშთი + 1,900 ფე რეალიზაციით შემცირება - 10,000 ფე საწყისი ნაშთი)		

მაგალითი – სოფლის მეურნეობა – შეფასება

მაგ 2. საწარმომ ააშენა საქონლის ფერმა. იგი აწარმოებს რძეს და ბაზარზე ყიდის ყველის მწარმოებლებზე. მეწველი ძროხების მოწველას ახორციელებს 5 წლის განმავლობაში, ხოლო სანაშენე ხარების შენარჩუნებას ახდებს 2 წლით, ამის შემდეგ ცხოველი იყიდება ადგილობრივ სასაკლაოზე. 20X0 წლის 1 იანვარს საწარმომ:

- შეიძინა 100 ზრდასრული მეწველი ძროხა თითო 350 ფე-ად;
- შეიძინა 2 ზრდასრული ხარი თითო 400 ფე-ად;
- გაყიდა 10 მეწველი ძროხა, რომელთაც მიაღწიეს მანველი ასაკის დასასრულს თითო 150 ფე-ად;
- გაყიდა 1 ხარი, რომელმაც მიაღწია პროდუქტიული ასაკის დასასრულს 180 ფე-ად;

20X0 წლის განმავლობაში:

- საწარმომ აწარმოა და გაყიდა 580,000 ლიტრი რძე;
- 40 მდედრი ხბო დაიბადა (ყველა იქნა დატოვებული არსებული მანველი ძროხების ჩასანაცვლებლად);
- 20X0 წლის ბოლოს დაიბადა 60 მამრი ხბო, საიდანაც რამოდენიმეს დატოვება მოხდება, ხოლო დანარჩენი გაიყიდება ადგილობრივ ბაზარზე 20X1 წლის განმავლობაში.

აქტიური ბაზარი არსებობს მხოლოდ მამრ ხბოებზე, სადაც 20X0 წლის 31 დეკემბერს თითო იყიდება 90 ფე-ად, ხოლო თითოზე გაყიდვის დანახარჯები შეადგენს 7 ფე-ს. რძეზე არსებობს აქტიური ბაზარი სადაც 1 ლიტრი იყიდება 0.1 ფე-ად, ხოლო გაყიდვის დანახარჯები შეადგენს 0.001 ფე-ს.

როგორ უნდა ასახოს საწარმომ აღნიშნული ოპერაციები?

მაგალითი – სოფლის მეურნეობა – შეფასება

51

მაგ 2. (გაგრძელება)

მეწველი ძროხები:

თვითღირებულება (350 ფე * 100)	35,000 ფე
სალიკვიდაციო ღირებულება (150 ფე * 100);	15,000 ფე
სასიცოცხლო მომსახურების ვადა	5 წელი
ცვეთის მეთოდი	წრფივი
წლიური ცვეთის ხარჯი $(35,000 - 15,000)/5$	4,000

მაგალითი – სოფლის მეურნეობა – შეფასება

52

მაგ 2. (გაგრძელება)

ხარები:

თვითღირებულება (400 ფე * 2)	800 ფე
სალიკვიდაციო ღირებულება (180 ფე * 2);	360 ფე
სასიცოცხლო მომსახურების ვადა	2 წელი
ცვეთის მეთოდი	წრფივი
წლიური ცვეთის ხარჯი $(800 - 360)/2$	220

მაგალითი – სოფლის მეურნეობა – შეფასება

მაგ 2. (გაგრძელება)

- 60 მამრი ხბო არის ბიოლოგიური აქტივი რომლისთვისაც არსებობს აქტიური ბაზარი. საწარმომ უნდა შეაფასოს იგი გაყიდვის დანახარტებით შემცირებული რეალური ღირებულებით, შესაბამისად იგი შემოსავალს 4,980 ფე-ს ($60 \text{ ხბო} * (90 \text{ ფე} - 7 \text{ ფე})$).
- მდედრ ხბოებთან დაკავშირებით ხელმძღვანელობამ უნდა აირჩიოს სააღრიცხვო პოლიტიკა, თუ აქტიური ბაზარი არ არსებობს უნდა გამოიყენოს თვითღირებულების მოდელი. რაც გულისხმობს ხბოების ზრდასრულ (მაწველ) ასაკამდე მისაყვანად მათ მოვლისა და შენახვის ხარტების ჩართვას თვითღირებულებაში.
- რძის შეფასება ხდება მიღების მომენტში გაყიდვის დანახარტებით შემცირებული რეალური ღირებულებით 52,000 ფე ($(580,000 \text{ ლიტრი} * (0.1 \text{ ფე} - 0.001 \text{ ფე}))$), შესაბამისი თანხის შემოსავალში ასახვით.

რეალური ღირებულების მოდელი

- თუ მოცემულ ადგილზე და მოცემულ მდგომარეობაში მყოფი ბიოლოგიური აქტივის ან სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის არსებობს აქტიური ბაზარი, ამ აქტივის რეალური ღირებულების შეფასებისთვის შესაფერის საფუძველს წარმოადგენს ამ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასი. თუ საწარმოს ხელი მიუწვდება სხვადასხვა აქტიურ ბაზარზე, საწარმომ უნდა გამოიყენოს იმ ბაზარზე არსებული ფასი, რომელსაც იგი, სავარაუდოდ, გამოიყენებს მომავალში;
- თუ აქტიური ბაზარი არ არსებობს, საწარმო რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენებს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ, ან რამოდენიმე კრიტერიუმს, როდესაც შესაძლებელია:
 - ბოლო საბაზრო გარიგების ფასი, თუ ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა ამ გარიგების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე პერიოდში;
 - ანალოგიური აქტივების საბაზრო ფასები, რომლებიც კორექტირებულია განსხვავებების გათვალისწინებით;
 - სექტორის სტატისტიკური მონაცემები, მაგალითად ხეხილის ბაღის ღირებულების განსაზღვრა საექსპორტო შესაძლებლობის, ბუშელის ან ჰექტარის ფასის გამოყენებით, ასევე პირუტყვის ღირებულების განსაზღვრა, ერთი კგ ხორცის ფასის გამოყენებით.
- თუ სხვადასხვა წყაროების გამოყენებით მივიღეთ სხვადასხვა თანხებს, აღნიშნული განსხვავებების მიზეზები განიხილება, რათა მიღებულ იქნას რეალური ღირებულების ყველაზე საიმედო შეფასება.
- ზოგჯერ რეალური ღირებულების ადვილად განსაზღვრა მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოცემული მდგომარეობის მქონე ბიოლოგიური აქტივისთვის არ არსებობს ჩამოყალიბებული საბაზრო ფასი ან ღირებულება. მაგალითად, აქტივიდან მოსალოდნელი წმინდა ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენება.

სოფლის მეურნეობა – განმარტებითი შენიშვნები

რეალური ღირებულების მოდელი

უნდა გამჟღავნდეს შემდეგი ინფორმაცია:

- (ა) ბიოლოგიური აქტივების თითოეული კატეგორიის აღწერა;
- (ბ) მეთოდები და მნიშვნელოვანი დაშვებები, რომლებიც გამოიყენა რეალური ღირებულების დასადგენად;
- (გ) მიმდინარე პერიოდის დასაწყისსა და საანგარიშგებო თარიღს შორის ბიოლოგიური აქტივების საბალანსო ღირებულების შეჭერება (შესადარისი ინფორმაცია არ მოითხოვება), სადაც ნაჩვენები უნდა იყოს:
 - (i) გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების ცვლილებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი;
 - (ii) აქტივების შესყიდვით განპირობებული ღირებულების ზრდა;
 - (iii) ღირებულების შემცირება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოსავლის მიღების შედეგად;
 - (iv) საწარმოთა გაერთიანებების შედეგად გამოწვეული ღირებულების ზრდა;
 - (v) წმინდა საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიქმნა ფინანსური ანგარიშგების მონაცემების გადაყვანის შედეგად განსხვავებულ წარსადგენ ვალუტაში; და
 - (vi) სხვა ცვლილებები.

სოფლის მეურნეობა – განმარტებითი შენიშვნები

თვითღირებულების მოდელი

უნდა გამჟღავნდეს შემდეგი ინფორმაცია:

- (ა) ბიოლოგიური აქტივების თითოეული კატეგორიის აღწერა;
- (ბ) განმარტება იმის შესახებ, რატომ არ არის შესაძლებელი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე;
- (გ) გამოყენებული ცვეთის მეთოდი;
- (დ) გამოყენებული სასარგებლო მომსახურების ვადა ან ცვეთის ნორმები; და
- (ე) პირვანდელი ღირებულება და დაგროვილი ცვეთა (დაგროვილ გაუფასურების ზარალთან) პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსთვის.

შედეგება სრულ ფასს-თან

- უფრო ადვილი ენით არის გადმოცემული, მოიცავს ნაკლებ მითითებებს აღრიცხვის პრინციპების გამოსაყენებლად.
- მსს ფასს-ის თანახმად თუ შეუძლებელია ბიოლოგიური აქტივის რეალური ღირებულების განსაზღვრა მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, საწარმო იყენებს თვითღირებულების მოდელს. სრული ფასს იძლევა უფრო შეზღუდულ შესაძლებლობას თვითღირებულების მოდელის გამოსაყენებლად.